

აჭარის სუბტროპიკულ-ჰუმიდურ ზონაში ფეიხოსას (FEIGOA Sellowiana) და ტყის ეკოსისტემების რანჟირება მრავალფაქტორული მიდგომით

ზურაბ სეფერთელაძე

ელ.ფოსტა: zurab.seperteladze@tsu.ge;

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჭავჭავაძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

შემუშავდა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის - აჭარის სუბტროპიკულ-ჰუმიდური ზონის აგროეკოსისტემური რანჟირების მეთოდოლოგია, ფეიხოსას კულტურისა და ტყის ეკოსისტემებისათვის. ფეიხოსას (*Feixoa seliowiana*) კულტურის მინერალოგიური და მორფომეტრიული ანალიზის (ბიომეტრიული მაჩვენებლები, ზრდის დასასრული და დასასრული, ნაყოფის მომწიფების დასაწყისი და მასიური მომწიფება, ყინვაგამძლეობა და სხვ.) საფუძველზე მოხდა მისი რაციონალური განლაგებისა და ტერიტორიის სამეურნეო ათვისებისათვის ოპტიმალური ბუნებრივი გარემოს შეფასება მრავალფაქტორული მიდგომით. აქცენტი ძირითადად გაკეთდა გეომორფოლოგიურ (რელიეფის დანაწევრება, დახრილობა, ექსპოზიცია) და აგროკლიმატურ (აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, ჰიდროთერმული კოეფიციენტი, ტემპერატურული რეჟიმი, ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და სხვ.) ფაქტორებზე. ჩატარებული ზონირების შედეგად გამოვლინდა ფეიხოსას კულტურის გავრცელებისათვის ოპტიმალური აგრორესურსული პოტენციალის მქონე ჰიფსომეტრიული საფეხურები და აგროეკოსისტემები.

კვლევის შედეგად მოხდა „ფეიხოსას ზონის“ შესაბამისი ტყის ეკოსისტემების გამოვლენა, ტყიანობის ხასიათის და ეკოსისტემათა დღევანდელი მდგომარეობის შეფასება და მათი ინდიკატორული ხასიათის დადგენა. ფეიხოსას ნარგავებისა და ტყის ეკოსისტემების გარცელების შესაბამისობის დასადგენად, შედგენილ იქნა მსხვილმასშტაბიანი ეკოსისტემათა რუკა და გეოსაინფორმაციო სისტემა. შედგენილი რუკის კარტომეტრიულ-გეოინფორმაციული ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა ტყის ეკოსისტემათა ტიპებს, მათს მიერ დაკავებულ ფართობებს და საკვლევი ზონაში მათი ხვედრითი წილის შესახებ საინტერესო ინფორმაციის მოპოვება.